ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 518

"4" ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.035) 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.035) 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 სექტემბრის №24.1595.1820 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.017.035) 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ. 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის და პანდუსის განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 15744 (თხუთმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე